სალომე ბერუჩაშვილი

კავკასიის ბიზნესის სკოლა

დარმშტადტის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი , გერმანია

,,Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში იყო ჩემი ოცნება, რომელიც მიუღწეველი ჩანდა, მაგრამ მესამე კურსზე მომეცა შესაძლებლობა გავსულიყავი საზღვრებს გარეთ და მემოგზაურა გერმანიაში. ქვეყნებიდან გერმანიის ამორჩევა ძალიან გამიმარტივდა, რადგან ყოველთვის მინდოდა გერმანიაში მოგზაურობა და ამ ყველაფერთან ერთად გერმანულ ენას ვფლობდი. გაცვლითმა პროგრამამ მომცა შესაძლებლობა ევროპაში მემოგზაურა, ასევე შემძინა სიღრმისეული ცოდნა და გამოცდილება. გავეცანი გერმანულ განათლების სისტემას, რომელიც ძალიან განსხვავდებოდა იმ სწავლების მეთოდისგან რომელსაც შეჩვეული ვიყავი.

ბევრ სხვადასხვა ეროვნების სტუდენტს დავუახლოვდი ამ ერთი სემესტრის განმავლობაში. გავეცანი მათ ქვეყნებს და კულტურას, დაბრუნების შემდეგ თავისუფლად შემიძლია ვთქვა რომ ჩემი კავშირები არამარტო საზღვრებს არამედ კონტინენტებსაც სცდება.

დარმშტატი არის პატარა საყვარელი ქალაქი, სადაც ბევრი მომღიმარი გერმანელი დადის, რამდენჯერაც დახმარება დამჭირვებია ყველა სიამოვნებით მეხმარებოდა.

რაც შეეხება უნივერსიტეტს ყველა საგანში პროფესიონალი ლექტორები მყავდა, რომლებიც თავისუფლად ფლობდნენ ინგლისურ ენას და თითოეულ თემაზე უნიკალურ პერსპექტივას ადემონსტრირებდნენ, ისინი სულ ხელს უწყობდნენ ცოცხალ დისკუსიებს და ახალისებდნენ კრიტიკულ აზროვნებას, ხშირად გვქონდა ჯგუფური და პრაქტიკული სავარჯიშოები რომლებიც იყო სწავლის სახალისო და ეფექტური მეთოდი.

6 თვე მარტო ცხოვრებამ ჩემში გაამყარა დამოუკიდებლობის შეგრძნება, ვისწავლე ფინანსების დაბალანსება და საერთო ჯამში ცხოვრების ორგანიზება.

Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობა არა მხოლოდ პიროვნულად გაუმჯობესებს, არამედ ხელს უწყობს შენს მომავალ პროფესიას.''